

დედა

საქართველო
შპს "დედა"

№2, 2007 წელი

გამომცემის 103-ე წელი





წვიმის შემდეგ

გამოდარება
ინება,
შხევი შეიშრეს
ტიტებმა;
კორდს ასხლეტილი
ნიაფი
ტყის ტიტებს
ეტიტინება...
ღართ გუღღანამშვიდები,
მზეს შეხარიან ტიტები.

ლალი ჯანმრთელობა

პანანინა ქალსაო

წვიმა მღერის, ვენაცვალე
მოულოდნელ ქარსაო,
ღრუბლებს არევეს, სახეს უცვლის
ცას ლურჯთვალეებასაო.
მეტ ლელიანს ავაცეკვებ,
ვიწყებ ლექსის თქმასაო,
ხუჭუჭა თმებს ჩამოფეხრდი
პაწაწინა ქალსაო!



მხატვარი მალხაზ ქუხაშვილი

ელგუჯა ლეზანიძე

გაზაფხულდა

გახალისდნენ ხის ტოტები,
თეთრად გამოკვირტულები,
ცის ლაჭვარდში მოსრიალე,
მოკლურტულე ჩიტუნები.

მთებმა ნისლი შემოიხსნეს,
ხევში წყალი ახმაურდა.
მოგვძახიან ყვავილები:
— გაზაფხულდა!
— გაზაფხულდა!




სევდიას და ფიქრის



ერთი პატარა ქალაქის გარეუბანში, მწვანედ შეღებილ, კონტა სახლში, ერთი პატარა გოგონა ცხოვრობდა. ის გამუდმებით თავის მშვენიერ, თეთრ ოთახში იჯდა და ეზოს სევდიანი თვალეზით გაჰყურებდა. მართალია, ეზო სულ მწვანეში იყო ჩაფლული და იმის ყურებას არაფერი სჯობდა, მაგრამ გოგონა მაინც ძალიან დაღონებული იყო. შემოდგომაზე ფოთლები წითლად და ყვითლად იფერებოდა, ზამთარში თოვლი ფარავდა ხეებსა და ბუჩქებს, გაზაფხულზე კი თეთრი კვირტებით იმოსებოდა არემარე, მაგრამ გოგონას მაინც არაფერი ახარებდა - გაჰყურებდა ამ სილამაზეს და ღუძღა.

აღარავის ახსოვდა, რა ერქვა გოგონას - ყველა სევდიას ეძახდა. ამაზე შესაფერის სახელს კაცი მართლაც ვერ მოიგონებდა. ასე გადიოდა დრო, გოგონა კი კიდევ უფრო სევდიანდებოდა. არავინ იცოდა მისი დარღის მიზეზი - არავის ანდობდა თავის ფიქრებს.

სევდიას სახლის მახლობლად მეორე სახლიც იდგა, ასევე სიმწვანეში და ფერად-ფერადი ყვავილების ბუჩქებში ჩაფლული. ამ სახლში ცხოვრობდა სხვა გოგონა. სევდიასავით ისიც სულ ჩაფიქრებული გაჰყურებდა არემარეს. რაზე ფიქრობდა, არავინ იცოდა. არც მისი სახელი ახსოვდა არავის, რადგანაც დიდი ხანია ყველა



ფიქრისა ეძახდა. იჯდა ფიქრია თავის ვარდისფერ ოთახში და ფიქრსა და ოცნებაში ატარებდა მთელ დროს. ეხვეწებოდნენ მშობლები აქეთ ფიქრისა, იქით - სევდიას, გადი, ეზოში გაისეირნე, ნახე, გარეთ როგორი სურნელია, როგორ ყვავის ყველაფერი, ან თანატოლებთან მაინც ითამაშო, მაგრამ გაჯიუტებული გოგონები გარეთ ფეხს არ აღგამდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, ფიქრიაში გასეირნება გადაწყვიტა. თითქოს რაღაც იგრძნო, სევდიასაც სწორედ ამ დროს მოუნდა ეზოში გასვლა. ორივე გოგონა თითქმის ერთდროულად გამოვიდა ამწვანებულ ეზოში. რამდენიმე წუთში ერთმანეთსაც შეხვდნენ.

- რა გქვია? - შეეკითხა ფიქრია და გოგონას ყურადღებით დააკვირა.

- სევდია. შენ?
- მე ფიქრისა მეძახიან.
- უცნაურია, რატომ დაგარქვეს ეს სახელი?

- იმიტომ, რომ ფიქრი მიყვარს. დღე და ღამე ვზივარ და ვფიქრობ. შენ რატომ დაგარქვეს სევდია?

- მე სულ სევდიანი ვარ და იმიტომ.
- რამ დაგასევდიანა?

- რამ და... მართალია, აქამდე არავისთვის გამიმხელია, მაგრამ შენ არ დაგიძალავ: იმან



10177

დამასველიანა, რომ სულ მარტო ვარ - არც და მყავს, არც ძმა. სახლში კი ისეთი მოწყენილობაა, დავსველიანდებოდი, აბა რა იქნებოდა.

- ჰო, მართლაც ძნელია, - ამოიოხრა ფიქრიამ.

- შენ? შენ რატომღა გქვია ფიქრია?

- მე სულ ჩაფიქრებული დავდივარ და იმიტომ.

- შენ რაზე ფიქრობ?

- უამრავ რამეზე. განსაკუთრებით კი იმაზე, რომ ძალიან მინდა მქონდეს პუანტები და ცეკვა ვავლე. ზამთარში, თოვლი რომ მოდის, ფიფქებს ვუყურებ ხოლმე და ძალიან მინდა, მეც მათსავით შემეძლოს ფარფატი, ლამაზი, თეთრი კაბა მეცვას, ფეხზე თეთრი, პრიალათასმიანი პუანტები მეცვას და სულ ვცეკვაავდე და ვცეკვაავდე.

ამის თქმაზე ფიქრიამ ისე ამოიოხრა, გულიც თან ამოაყოლა. სევდიამაც ამოიოხრა, ჩამოსხდნენ გოგონები სკამებზე და ჩუმად დაუწყვეს ყურება ამწვანებულ ქუჩას.

უცებ სევდია, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ადგოლზე შეხტა:

- სულ დამავიწყდა, შარშან, დაბადების



დღეზე ახალთახალი პუანტები მაჩუქეს, მე კი ცეკვა არ შემეძლია და ამიტომ ყოთში მაქვს შენახული. გაჩუქებ და შეგიძლია, რამდენიც გინდა, იმდენი იცეკვო.

ფიქრია უცებ გამოცოცხლდა:

- შეუძლებელია, ნუთუ პუანტები მექნება და ცეკვას შევძლებ!

- რა თქმა უნდა, - ასევე სიხარულით შესძახა სევდიამ.

უცებ ფიქრია ისევ ჩაფიქრდა:

- მაგრამ შენ რა გეშველება, შენს ოცნებას რომ ვერ აიხდენ?

სევდიაც ისევ დასველიანდა.

- იცი რა, თუ გინდა, მე ვიშეგობრებ შენთან და შენც მარტო აღარ იქნები. შევეიძლია მთელი დღეები ერთად გავატაროთ, ერთად ვითამაშოთ. შენ იცეკვებ, მე კი შენი მაყურებელი ვიქნები...

- მართლა? შეგიძლია ჩემი მეგობარი გახდე? - სიხარულით შესძახა სევდიამ.

იმის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. გოგონები აღარ იხსდნენ მარტომარტო, თავ-თავიანთ ოთახებში, და მთელ დღეს ეზოში ატარებდნენ. საღამოობით ფიქრია იცვამდა თეთრ პუანტებს და თოვლის ფიფქებით ჰაერონად დაქროდა, თითის წვერებზე ტრიალებდა და ცეკვაავდა. აღარც სევდია გრძობდა თავს ეულად - ახლა მას მეგობარი ჰყავდა. ორივე ძალიან ბედნიერი იყო. პატარა ქალაქის გარეუბანში ყველაფერი ისე იყო, როგორც წინათ: ისევ ისე მოდიოდა თოვლი, ისევ ხმებოდა შემოდგომაზე ფოთლები, ისევ იფურჩქნებოდა ვარდის ბუჩქები გაზაფხულზე და ისევ მწვანედ გაუდიოდა ხასხასი ხეებს ზაფხულობით. მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ახლა ისეთი მოწყენილობა აღარ იყო, როგორც წინათ, ახლა სევდია და ფიქრია ძალიან ბედნიერები იყვნენ.



მხატვარი ვაჟა ქურსული





მობუცებულ ბაბუაჩემს,
მცვე ტანზე ოცი წოხა,
ვინც გახადა — ცრემლი ღვარა,
სულ ლოყები დაიხოვა.

ე მ

ორმუცვლას ოთხი ყური აქვს.
რა არის?

ს კ

(ხალხური)
ჩვენს სახლს მანქანა ჩაურბენს,
როდესაც დილა იალღებს,
მიიყვება შარას საურმეს,
მიქრის, გრგვინავს და გრიალღებს;
მძლოლთან მგზავრი ზის შავთვალა,
არც დიდ და არცა ჩვილია,
დღეს ათასამდე დათვალა,
იმ მძლოლის ვაჭიშვილია,
მაგრამ ის მძლოლი ვაჭისა
მამა არ არის, ვიცანი,
რა არის მძლოლი მგზავრისა? —
დაფიქრდი, გამოიცანი.

გარდათქვა ვაჟა ბაბუშ

თავად თუ
არსად გინახავს,
გაიგონებდი ამზადა:
ცოცხალმა
მკვდარი შობა და
მკვდარმა
ცოცხალი დაბადა.

ნ ე

დახურავ — ჯოხია,
გააღებ — ქოხია.

ზ ი

დედაშვილობა

სალომე და მარიამი
დაძველებულნი ავტობუსს,
სუთი წლისა რომ არიან,
ვერ შეატყობთ ღაზარაკსე.
დილით ადრე წამოცვიდნენ,
გაუმსევუს ლოცინები,
სასურნოდ წაიუვანეს
თავიანთი თოჯინები.



— აქ ისეთი ჰაერია,
მადა ისე მოემტა,
დღის რეჟიმი აურია
და წონაში მოიმატა.

— ჩემიც ისე გაბისუქდა,
აღარ ჭამოს, ღამის ვუთხრა.
დახვეწება ჰქვია ამას?
სულ შრომა და სულ ჯაფა,
ან ქვაბი მიქვს განარეცხი,
ანდა განახეხი ტაფა.



— გაუფრთხილდი, არ წაგქექეს,
თორემ მერე შეშინდება.
ჩემი თავი, მაგის გამო,
ჭოჭინამიც აღარ დგება.



— მეც მაგ დღეში არ ვახლავარ?!
ხან ღვესელს მისოფს, ხან ფახლავას.
ეტლმიც აღარ მიჩერდება,
არ სურს, მივაძველო სელი.
მეძინია არ დავცეს,
დაბაჯბაჯებს, როგორც ბული.



— ძილით, ძილით როგორ სძინავს?

— ხან კარგად და ხან კი ცუდად.



— ჩემსას ჰაერი მოუხდა,
გადაიქცა ძილისგ უდად.

— ხალი, დღისით თუ ამინებ?



— რა თქმა უნდა, შუადღესე.
თაკიც უნდა დააწვირო,
სულარ გავკავს იმ მწველ მწესე.

— ვცადე, მაგრამ არ იძინებს,
საბანს ისდის განუწყვეტლივ.





მარიამ არსანიშვილი
3 წლის
გასივრება ოჯახში



– შენც საწოლში ნუ ჩააწვევს,
დაურწიე ხელა ეტლი.

– მაგახაც ვედი, თუშდა, მგონი,
იძიტომ აქვს ცუდი ძილი,
რა ხანია, უჩანს, მაგრამ
არ ამოხდის ქვედა კბილი.



– რა ძაგისი ჰასუსია, –
ხელი გაკარა საღიმი ჰამაკს,
– ნეტავი, ვინ დაგვიფასებს
ამდენ შრომას, ამდენ ამაჯკნ?!



გაბისიძე თეა



მარიამ სურგულაძე
9 წლის

ჩემი
დასურვიდან



შხატარი ალექსანდრე ბარლიშვილი

დედა

პირველი სიტყვა, რომლითაც მინ-
და საყუთარ დედას მივმართო, არის
შადლოზა. შადლოზას ვუხდი იმისთვის,
რომ ასეთი თავდაუზოგავია შვილების
მიმართ. ცდილობს, მე და ჩემი დაიკო
ჯანმრთელები ვიყოთ და ყოველთვის
კარგად გამოვიყურებოდეთ, გვაყვარებს
ჩვენს სამშობლოს, მშობლიურ ქალაქს,
ნათესაებს, მეგობრებს. ცდილობს, გავი-
ზარდოთ ღვთისმოსილები და ყურადღე-
ბიანები. ერთი სიტყვით, ჩვენ ყოველთ-
ვის კვანძობს ჩვენს გვერდით მოფუსფუ-
სე, ჩვენზე უზომოდ შეყვარებული დედის
თანადგომას. ღმერთს შევფიქროვ, მომცეს
ძალა და შუქლება, რომ მეც ამდენი თუ
არა, ნახევარი შაინც გავუკეთო ჩემს დე-
დიკოს მაშინ, როცა ჩემი მზრუნველო-
ბა და თანადგომა დაჭირდება. გოცინი
ბუერს, ჩემო დედიკო!



ზაფხულის გაგანია სიცხეში ყველა თქვენს განს უყვარს წყლის თოფით წუნაობა, ეს ჩვეულებრივი და სახალისო გასართობია, მაგრამ არის ერთი თევა — შეფვია, რომლისთვისაც ამგვარი წუნაობა გასართობი კი არა, საზრდოს მოპოვების ერთადერთი საშუალებაა. მართალია, მას არც ფერადი თოფი აქვს, არც ხელი, რომ თოფი დაიჭიროს, მაგრამ სასაზე გასდევს ღარი, რომელიც ორი შემადღებული რგოლითაა გარშემორტყმული. როცა თევაი სასას ენას მიბაჯენს, ეს ღარი თოფის ლულად გადაიქცევა. სროლის დროს ლაყუჩის სარქველები იკუმშება და მათი წნევის ძალით წყალი შეფეებად გამოიდევენება პირიდან. ვის წუნავს თევაი? ვისა და თავის საკვებს — წყლის ზევი მცხოვრებ ბუზებს, კოლოებს, ხოჭოებს, პეპლებს. თუ წასროლი წყლის „ტყვია“ იღბლიანი აღმოჩნდა, თევაი ეცემა წყალში ჩავარდნილ საკვილოს და სასწრაფოდ გადაყლაბავს.

ინდონეზიელები შეფიებს გასართობად წვრთნიან და მათს შეჯიბრებებსაც აწყობენ. ამგვარ „ტურნირებზე“ წასწავლი თევაები დამსწრეთ თავიანთ ზელოვნებას უჩვენებენ: აქრობენ ხანთელს, ანთებულ ასანთს. შეჯიბრების დროს მნიშვნელობა აქვს როგორც ზუსტ სროლას, ისე მანძილს. ყველაზე ყოჩაღი თევაები „შეფებს“ ოთხ-ხუთ მეტრზე ისვრიან.



რატომ ჭამენ ნიანგები ძვეს?

უზარმაზარი ნიანგები, რომლებსაც ლუკმადაც არ ჰყოფნით სამოცკილოიანი ანტილოპა, თურმე ქვებსაც ყლაბავენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ქვის გემო მოსწონთ ან სხვა საკვებს ვერ პოულობენ — მათთვის ეს აუცილებელია ნიანგი, რომელსაც კუჭში ქვები არ უწყვიან, ცურვის დროს ძლივს ინარჩუნებს წონასწორობას და იძულებულია გამაღებით იმუშაოს თათებით, რომ პირადმა არ ამოტრიალდეს.



ჩანჩქრის ზღაპარი

„აგრემაც ჩაგვინები,
ქმნადა საქმისა, კარგისა;
ხან მთა-ბარს გამოგუწურვი,
ხან დამწულუღე ვარ ბადისაო“,

მოიღექსრა კრაკა ნაკადულმა ბეკობ-ბეკობი და ჩამოღმით, მდინარის ნაპირს მიადგა.

იქ, მდინარე მწყრალად დახვდა, უწყინა სიგვიანე.

- მეო, - უთხრა, - ამ მზე-ხვატმა, ლამის ქვიშა-ქვიშა ჩამლიოს, შენ კი, აგრე ბაცა-ბაცა მოწინწკალაობო?!

- მე ხომ გზად უთვალავი ყვავილი და ბალახი მელის, - თქვა ნაკადულმა, - აბა, მათ გვერდს როგორ აუუვლიო...

- თანაცო, - მდინარემ მზერა აანაკადულა, - მაგრე წვეთი-წვეთა რად მარგებო?!

- აკი ამბობენ, სათავეში შენაც ისეთივე წინწკალა ხარ, როგორაც მეო, - უთხრა ნაკადულმა, - ჩემ ჩამონაწვეთს სულ რო ხახაში ისხამ, მაგეთი დიდრა მიტომაც ხარ... მე რომ არა, იმასაც ვნახავ, რა ხვითოც იქნებოი?!

- ღიახაცო, - მდინარემ, - წვიმისხანობას

შენაც კარგა გაფოთებით მოიქარი ჩემსაო?!

მოკლედ რომ ვთქვა, წაეკიდნენ:

ამან ეს თქვა, იმან - ისა. არ დატოვეს უპასუხოდ, დარისა თუ ავდრისა. ბოლოს გზებად გაიყარნენ, გაღმისად და გამოღმისად...

ვერ გეტყვით, მას აქეთ რამდენ ხანს იწანწკარა ნაკადულმა მინდორ-ჭალა მარტომ, ხოლო მდინარემ - უნაკადულოდ.

ერთი კია,

როცა ჩანჩქერისა ცის აივანზე მიმომხსდარ მზესა და მზის სხივებს ნაკადულისა და მდინარის ამბავს მოუთხრობდა, ბოლოს თურმე მათთვის ასე უთქვამს:

- მორჩით აწი ბუტიაობას და ორივენი აქ მოდექითო!

და კიდევ:

არ ვიცი, შეურიგდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა.

აი, ჩანჩქერი კი, ისევ ისე მძლავრად მოსხლტის კლდისნაღარზე, ხოლო ნაჩანჩქერალში კვლავ უამრავი ბაეშვი კი ჭყუმბალაობს და...



მახატარი მამა მიძაძა



დამეთანხმები, დილის საუზმე უნებურად ბუტერბროდთან ასოცირდება. რადგანაც დილით დრო ცოტაა, შენ სკოლაში გაგვიანდება, დედას — სამსახურში, ყველაზე სწრაფი და იოლი გამოსავალი სწორედ სახელდახელო ბუტერბროდია: პურის მოზრდილ ნაჭერზე გადასმული კარაქი — აი, მისი კლასიკური ნიმუში. გერმანული წარმოშობის ეს სიტყვა ასეც ითარგმნება: butter — კარაქი, Brot — პური, იგივე კარაქიანი პური.



sandwich

რა დიდი გამოგონება და პატენტი სჭირდება ამ უიოლეს საჭმელს, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი და კანონი აქვს და, თუ დაინტერესდები, იმასაც გეტყვით, რომ ბუტერბროდი, სარწმუნო ცნობებით, ნიკოლაი კოპერნიკის გამოგონებათა რიცხვში შედის. შეიძლება პელიოცენტრული სისტემა ჯერ არ გაგვიგონია, მაგრამ კოპერნიკი რომ დიდი გამოგონებელი იყო, სადმე გეჩვენებ ყურმოკრული. და აი, ამ გენიოსმა ერთ დღეს იმისთვისაც მოიცადა, რომ კულინარიის აღმორჩენები გაემდიდრებინა. მალე პურზე წასმულ კარაქს დაემატა ძხვი, ყველი, პომიდორი, სალათის ფოთოლი...

შენც შეგიძლია ფანტაზიას გასაქანი მისცე, გამოალე მაცივარი, გამოალაგო ყველაფერი, რასაც მშრალ საჭმელს ეძახიან და ბუტერბროდად აქციო. შეგიძლია წვეულებაც კი მოაწყო და სტუმრები წაირწაირო, ლამაზად გაფორმებული და მოხატული ბუტერბროდებით გააკვირო. კარაქიან პურზე დადებულ ძხვის ნაჭერს თავის ფორმას მისცემ, ზღარბს დაამსგავსებ თუ სპილოს, შენი გადასანყვეტია. მოსართავი მასალა კი იმდენია, ვერც დათვლი: ზეთისხილი, კიტრი, პომიდორი, სიმინდის მარცვლები, ყველი... წვეულების სახელსაც ფიგურები გიკარნახებენ: „ზოოპარკი“ თუ „გასეირნება ჯუნგლებში“? ან იქნებ „ცირკის არენა“?!



მოგვიანებით ინგლისელმა არისტოკრატმა ჯონ მონტეგეუმ, ლორდმა სანდვიჩმა, ბანქოს თამაშის დიდმა მოყვარულმა, იმისთვის, რომ სათამაშო მაგიდა არ მიეტოვებინა და ისე დანაყრებულყო, თან ცხიმიანი ხელით ბანქოს ქაღალდიც არ დაესვარა, ბუტერბროდს პურის მეორე ნაჭერი დაახურა თავზე. ასე გაჩნდა სანდვიჩი.


საყარო მსახიობი:
პური
ყარაქი
ძხვი
ყველი
პომიდორი
ყიწრი






ოქროს ბუმბული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი , რომელსაც გულზე ერთი ღერი  ოქროსი ჰქონდა.


 საუცხოოდ გალობდა. ის ყველას უყვარდა. უყვარდათ იმიტომ, რომ ყველასთვის მღეროდა.



ეს კარგად ახსოვდა მგალობელს და თავს არ ზოგავდა. დილიდან საღამომდე გალობდა და გალობდა.


ერთხელ ბოროტმა შავმა ფრინველმა მას ოქროს  მოსტაცა და გადაუშალა.

 ძალიან დაღონდა, დაიჩაგრა, ველარც გალობდა და ველარც დაფრინავდა.

გაიგეს კეთილმა ფრინველებმა მისი ამბავი, შეგროვდნენ ერთად და, ასე დარაზმულნი, ჟივილ-ხივილით თავს დაესხნენ ბოროტ შავ ფრინველს.

ბოროტი  ძლიერი იყო. შეეძლო ცალ-ცალკე ყველას გამკლავებოდა, მაგრამ ერთად ყველასთან უკვე ველარაფერი გააწყო.

ფრინველებმა შეაჩვენეს ის, წაართვეს გადამალული ოქროს  და საყვარელ  დაუბრუნეს.

 კვლავ დაიწყო სიმღერა.

მისი ტკბილი ჰანგები არემარეს მოეფინა და სიამოვნება მოკგვარა ყველას, არა მარტო ფრინველებს, არამედ მწერებს, ყვავილებს, ბუჩქებს, ხეებს და ადამიანებსაც.



მზატყარი ნანა სანაია



ქეილები დიდ მამებს



რუბრიკას უძღვება **თამაზ კვაჭანტირაძე**

მიხეილ ჯავახიშვილი (1881-1937 წწ.) რომ დიდი ქართველი მწერალია, ეს თქვენ, ვმაცხილებო, უკვე იცით. ზოგს, ალბათ, ისიც გაგივინათ, რომ იგი გასული საუკუნის ცნობილ რეპრეზენტებს ემსხვერპლა. მაგრამ სანამ დიქტატორული რეჟიმი 1937 წელს მწერალს დახვრეტდა, მიხეილ ჯავახიშვილმა მოასწრო და თქვენ, ქართველ ახალგაზრდობას, „ჩვენი დროის ათი მცნება“ ვიანდერძათ.

სამყაროში „ათი მცნება“

არსებობს უფლისაგან ნაანდერძევი წმინდა „ათი მცნება“, რომლებიც გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ ყველამ და ამ შეგონებათა მიხედვით ვიცხოვროთ: აღამიანს სიცოცხლე არ უნდა მოეუსწრაფოთ, არ უნდა ვიქურდოთ, სხვას არაფერი დავაბრადოთ, პატივი უნდა ვცეთ მშობლებს და, საერთოდ, უფროსებს...

მიხეილ ჯავახიშვილმა ამ საღვთო „ათ მცნებაზე“ დააფუძნა „ჩვენი დროის ათი მცნება“ და თავის ათი წლის ქალიშვილს, ქეთევანს, ჩაუწერა სამახსოვრო ალბომში, თუმცა გვიგულისხმათ ყველა თქვენ, მისი თანამედროვე თუ შემდგომ მოვლენილი პატარა ქართველები:

1. შენ ხარ მარადიული, განუწყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.
2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარია.
3. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლედ კი, შენს მამულს ეკუთვნის; შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუწყრელი შვილი.
4. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.
5. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე; ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.
6. განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ფინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.
7. გზის გაკვალვა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით; ზარმაცობა, ცუდლუტობა, სიცრუე და სიყალბე აღამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დალუპავენ.
8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე, იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ; ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ფინს და გულის ზრახვას ნუ აპყვები.
9. თაემოყვარეობა შეიძინე და თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, არ გაამაყდე.
10. ბოლოს და ბოლოს, ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა და მესამე – ისევ შრომა.



რა მსიზმრებოდა სიციხის ბოლომდე ძალბატონე ქეთევანს?

გაიზარდა ქეთევანი და წმინდად აღასრულა მამის ანდრძი: ვახტა საქართველოს ღირსეული მოქალაქე, ვადაარჩინა, მოუარა და შემოვინანა მწერლის საარქივო მასალა... მაგრამ დაბეჭდილი კომპარები მას სიკვდილამდე ტანჯავდა: სულის მესიზმრება, როგორ გვეჭრებიან შინ, გვჩხრეკენ, რაღაცას ეძებენ... მე მამას ვარ ჩაფრენილი, მაგრამ მისი ხელიდან მგლეჯენ, სადღაც მიათრევენ... მე ვწვივ და ოფლში ვაღვინთული ვიღვიძებო.

აი, ზოგი ეპიზოდი, რასაც ქალბატონი ქეთევანი თავის დიდ მამაზე მომიყვავ:

სტალინი ურჩავს, ჯავახიშვილი არ ეთანხმება

მამა გულქართლი კაცი იყო – მართალი, პირდაპირი და, ცოტა არ იყოს, თავის-ნათქვამაც. მოგეხსენებათ, სტალინის მამის აღმერთებდნენ და მისი წარბის ერთ აზიდვაზე მილიონები ძრწოდა. როცა 1936 წელს კრემლში საქართველოს დეკადაზე მიხვილ ჯავახიშვილს ორდენი გადასცეს, ბელადს უკითხავს, ახლა რაზე მუშაობთო; რომანსა ვწერ ჩვენს თანამედროვეობაზე, უპასუხია მამას.

- სათაური? – ჩაქვია სტალინი.
- „ქალის ტვირთი“...
- „ქალის ტვირთი“... – გაუმორება სტალინს, – „ქალის ზედრი“ ხომ არ აჯობებდა?
- არა მგონია: რომანში ორი ქალი გამოძვავს, ერთმა შეძლო რევოლუციონერის მძიმე ჯვრის ზიდვა, მეორემ – ვერა...
- პოო, მამის სხვა საქმეა, – უთქვამს სტალინს.

არადა, როგორი საქმეა, სტალინი რამეს გირჩევდეს და შენ მაინც შენსაზე იდგე!

„თქვენ კი უკითხვად ცეკვაპო, ვიდრე გვამარაგებთ“

დეკადის ბოლოს დიდი დარბაზობა გამართულა. ბანკეტს სტალინი თამაძობდა. თავს ჯერ შებორკილად ვგრძობდიოთ, ვკვივებოდა მამა, მაგრამ მერე ქართული საცეკვაო დაუკრეს, ღვინოც ოღნავ მოგვეკიდა და გავმზიარულდით. მიქოიანმა, რომელიც მამის ვაჭრობასა და მომარაგებას განაგებდა, საცეკვაოდ გამიხმო... თავი არ დამიზოგავს, მაგრამ მიქოიანმა, ცეკვა რომ დავასრულეთ, ირონიკარული ქათინაური მითხრა:

- ბატონო მიხვილ, თქვენ უკეთესად წერთ, ვიდრე ცეკვაპო!
- თქვენ კი, ბატონო მინისტრო, უკეთესად ცეკვაპო, ვიდრე გვამარაგებთ!

„დაანგრეთო და გაყიდეთ“

მამა წუხდა, მეტეხის ეკლესიას, ვკონებ, დანგრევას უპირებენო. რამდენიმე მოღვაწემ ბერიას თხოვნი მიმართა მეტეხის გადასარჩენად. ცივად მიგვილო, ვკვივებოდა შინ დაბრუნებული მამა, რა განგაშა ტეხთ, რაც დასანგრევია, იმას დიხაჯ დავანგრევთო... ველარ მოითმინე და პირში მივახალე დაანგრეთ, ბატონო, მაგრამ ნანგრევი ფრანგებს ან შვეიცარიელებს მაჰიდდეთ, იმით იციან მეშვიდე საუკუნეში გათლილი ლოდების ფასი-მეთქი. ამის თქმა და – სახეზე ისე წამოახურა, ვიცე, ეს ამბავი ასე იოლად არ ჩამოიღისო.

აჰი არც ჩაუარა!

მეუზოვემ ბაბაროტმუსტა

მამას ბრალად შოვინისტობა ანუ სხვა ხალხების სიძულვილი წაუყენეს. არადა, ეს უმზავსობა დასწამეს მწერალს, ვინც მართალი აბღულაპი, ლამაზლო, კარპინა გამოვიძერწა... ერთი მეუზოვე გვყავდა, ქურთი ბენო, ჩვენი სახლისავე სარდაფში ცხოვრობდა. მამა ყოველ დღესსწაულზე ბენოს წვირილშვილს შინ ამოიბატყებდა და დაასაჩუქრებდა ხოლმე. ბენომ წერა-კითხვა, ვკონებ, არც იცოდა, ქართულსაც ამტვრევდა... მაგრამ როცა მამა დააბატომრეს და ბენოს უბრძანეს, მწერლის ბინიდან აეყვი ჩამოზიდდო, ამ უბრძანა მეუზოვემ ჩეკისტებს უთხრა: „თქვენ რაც უნდოდეს, ისა ქნას, მე ჟავახიშვილის ბინიდან აეყვი არ გამოიტანო...“



„ივანანა“ ჩვენი „ჩვენი“



ფონდ „ივანანა“ პრეზიდენტი პაატა მურგულაძეს

ბატონო პაატა!

მე ერთი თბილისელი ბიჭი ვარ. ცხოვრების პირობებმა კოვრის ბავშვთა სახლში მიმიყვანა. შემდგომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსში ჩავბარე. დამამთავრებელ კურსზე ვიყავი, რომ სასწავლებელი გამიუქმეს. პაერ ში დარჩენილი, კვლავ ბავშვთა სახლში მიმიყვანა ცხოვრებამ. ახლა სრულწლოვანი გავხდი და ბავშვთა სახლიდან გამოვსივს. არ ვიცი, რა გზას ვეწეო. დედა კოვრის ბავშვთა სახლში მუშაობს და იქვე ცხოვრობს, მე კი უნივერსიტეტში ვაბარებ და თბილისში გაჩერების საშუალება არა მაქვს. იქნებ როგორმე დამეხმაროთ, რომ მუშაობა დავიწყო და ბინა ვიჭირო. გპირდები, თქვენს იმედს გაავამართლებ.

ასიკეთეს სიცოცხლის ბოლომდე არ დაგივიწყებთ და ღმერთს შევეცდები, ახაროს და აბედნიეროს ასეთი კეთილი ხალხი.

ღმერთი გფარავდეთ!

პატივისცემით ზურაბ მუხადგერელი



ქუჩა

ფონდში ხშირად იღებენ ასეთ წერილებს: უკრაინაში არც ერთს არ ტოვებენ, მაგრამ ეს შემთხვევა მაინც განსაკუთრებული იყო. ამბავში, რომელსაც ზურა მოკვლევ პევებოდა, უწყველი და გაუგონარი არაფერი ყოფილა, მაგრამ ბიჭის გულწრფელობამ და თავმდაბლობამ უწყველი ნდობა გამოიწვია.

ზურას მალევე გამოეხმაურნენ და მისი იმედი გამართლდა: ფონდის ერთ-ერთმა სამეცობრომ ბინა უჭირავა და უშუალოდ, პროფესიის ასათვისებლად სასულიერო აკადემიასთან არსებული მინანქრის კურსებზე რომ ჩაწერილიყო: დღეს იგი მინანქრის ხელოვნებას ეუფლება, ხელზე თავისი პირველი ნამუშევარი, გაუწაფავი ხელით ნაკეთები ბეჭედი უკეთია და თავსაც იწონებს, ფონდ „ივანანაში“ კი მისი მომინანქრებული ნაბეჭედი ამაყობენ. მუშაობს კიდევ, დედას და ძმასაც ეხმარება, თან სწავლობს და სამომავლო გეგმებზე თამამად ლაპარაკობს.

ზურას მამა არ ახსოვს ქუჩის წლის იყო, როცა დედამ ცხოვრების გაუსაძლისი პირობების გამო სახლი გაყვია, მერე კი სახლგარეშე გაეგზავრა იმ იმედით, რომ პრობლემებს მოაკვარებდა. უმთავრესად დარჩენილი პატარა ბიჭი ქუჩაში აღმოჩნდა: თავდაპირველად ასეთი ცხოვრება სახალისოც კი ეჩვენა – არავითარი პასუხისმგებლობა, არც სინდისის ქეზენა, არც ზედმეტი კითხვები... არ დარდობდა, სად გაათავებდა ღამეს და როგორ იმეორებდა ღამის-ღამის. ასეთი ცხოვრება კარგს არაფერს უქადდა. ერთხელაც, მშენებარე ეკლესიასთან გაიარა და გულმა უკარნახა, რომ მისი ადგილი იქ იყო. ერთი წელი მუშაობდა, თან მორჩილად იყო ტამარში. იქ მიიღო გადაწყვეტილება, ბავშვთა სახლში მისულიყო, მაგრამ ვადაწყვეტილების მიღება იოლი როდი იყო: ქუჩას თავისი ხმალი აქვს, ძალიან ცოტა თუ ახერხებს მისი კლანკებიდან თავის დასხნას, ბევრს უჭირს დათმოს თავისუფლება და ახალ გარემოში თავის დამკვიდრებისთვის იბრძოლოს. ბრძოლა კი დაუნდობელი და უშეღავათია. თუ ესეც მოახერხე და ბავშვთა სახლის ნამდვილი ბინადარი გახდი, მერე ყველაფერი იოლია: გარემო, კედლები, ირგვლივ მყოფი ადამიანები, თანატოლები, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ – ეს ყველაფერი ისეთი ახალი იმედი და მშობლიური ხდება, რომ წლებს მერე იტყურობის დატოვება ყველას უჭირს. უჭირთ და ეშინიათ.

შიშ

რისი ეშინიათ ბავშვთა სახლის მკვიდრთ? – როგორც ზურა ამბობს, ყველაზე დიდ შიშს ამ კედლებს მიღმა არსებული მიუწვეველი და ბუნდოვანი სამყარო ბადებს. წლებს მანძილზე პატარები ეჩვენებენ გარემოს, სადაც ცხოვრობენ, და თავსაც უფრო დაცულად გრძობენ – მათ ხომ, ასე თუ





ისე, დაიმკვიდრეს ადგილი, აქვთ თავიანთი საწოლი, ორიოდ ხელი ტანსაცმელი, რამდენიმე მათთვის მჭირფასი ნივთი და ჰყავთ მეგობრები. მეგობრობის ფასი კი, ზურას თქმით, ბავშვთა სახელზე უკეთ არავინ იცის. რა ვლით გარეთ, ხად გაათვევენ ღამე, როგორები არიან დამაშინებელი და სამყაროვე? - ეს კითხვა აწეალებს და ამინებს ყველას, მაგრამ წამოსვლა გარდაუვალია - ყველა, ვისაც თქვესმეტრი წელი უსრულდება, ტოვებს ბავშვთა სახლს.

„სახლის ბავშვები“

„სახლის ბავშვები“ - ასე ეძახიან ბავშვთა სახლში გაზრდილები თავიანთი თანატოლებს, რომლებსაც ბედმა დედ-მამასთან ერთად, ოჯახში, საკუთარ კერძო ცხოვრებას არგუნა. მარტო ამ სიტყვაში იგრძნობა, რამხელა კედელია აღმართული ერთი თაობის, მაგრამ განსხვავებულ პირობებში მცხოვრებ პატარას შორის - „სახლის ბავშვებს“ ზურას უკან სამხედრო აღმზარები ჰყავთ, ბავშვთა სახელზე კი მხოლოდ თავისი თავის იმედი აქვთ, ამიტომაც იცქვიან საკუთარ ნაჭუჭში და ეძიებენ გარე სამყაროს, ამიტომაც უსწრებთ მოძალდის შიში.

მომავალი

- გულწრფელად გეკუთხები, ბედნიერი აღმზარევი ვარ, ბავშვთა სახლში რომ მომიწია ცხოვრება. ბევრი რამ მახსენდება, ცუდიც და კარგიც, მაგრამ ასეთ სიყვარულს და ერთგულებას, როგორც ბავშვთა სახლშია, სხვაგან ვერსად შეხვდებით. ჩემებს კი, პატარა მეგობრებს, რომლებიც იქ დარჩნენ, მინდა ვუთხრა, რომ არაფრის შეეშინდეთ. მომავალი ყველას აქვს, მთავარია მონდობა, იყინ და შრომის სიყვარული. რაც მუშაობა დავაწყვე, არც ერთი საქმით არ გეპყროფილდები, სულ ახალს და ახალს ვეძებ, მინდა ჩემით შევქმნა რაიმე ღირებული. ვასსვლდეთ, ღმერთი მუდამ ჩვენთან არის!!

რამაღიოთბადა: ამ ამავს შუნთან ერთად უკვე ის ბავშვები წაივითხავენ, რომლებსაც ფერადნატანების ღამში ურჩაბლო დღედედ უწყურება და მხოლოდ „სახლის ბავშვების“ საკუთრება ევრათ. ფრნდმა ავანანამ საქართველოს ყველა ბავშვთა სახლისთვის გამოიწერა ურჩანო ალილა. ასე რომ, თუ სურვილი გავიზრდება, საშუალება გავქვს, წრაბლო მიწერო, შევზნაბრო შუნს თანატოლებს, იმ პატარებს, რომლებსაც თავი გარიუული ჰკობნათ. თითოეული შუნი სიტყვა მათთვის იმედის ნაქერწალი იუნება, ალილა“ კი ამ კეთილ საქმეში შუამდებლობას გპირდება.

„ივრის ჭალაში“ ხანდახანული მუხის ფულფურადან ფრინველია ყრიაბული ისმოდა. მალაფურება, ყელმოღურებულმა თეთრმა წერომ პატარების დახსენებრბლად ფრია ფრიათა შენკაში, ნისკარტად დადაკუნა ხტენ, მაგრამ პატარების დამშინებლად არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

- მიდე ჩრითან, პატარა, - მოკლავდა წერომ ფრინველი თაქარტულ პარტყას, - ნუ ტარი, ნახე შუნი ტარლები როგორ თამაშობენ, მიდე შესე ითამაშე.

- არა არა! - ოჟარა პარტყმა და ბეჭიონდა... თაქარტულარიმ ახლად მოვიგვლია პარტყას მწუხარება და მცხოვ თანატოლებს მუშინწველი არც დარჩნითი, გარს შემოვიყრენ, ზოჯე თანატოლები ევერბობდა, ზოჯე ნისკარტს უსხვამდა თავზე და თანატოლას ასე ეკანობატებდა.

- ნუ ტარი, მწვერბობა, ჩვენც არ გვეყის შობლები. ნახე რა ღამაზრკება მცვეთა, ამიტომაც დამარტყეს გულგუთივლა ნამოდი, „ჩიტობანა“ ვითამაშეთ.

- მე შობია ვარ, შვიი კი ვარ, მაგრამ იცი, როგორი თეთრი და თბილი გული მაქვს?

- მე ბედურას მებახიან, ერთავულ, უღალატო მეგობრად მიცნობენ, შუთითისაც ასეთი ექნები.

- მე თომისტარაა მიჭი ვარ, მინინე შრომა მიცვარს, ნახე როგორი ძლიერი ბოლო მაქვს?

- მე ბალაღამას ნებახიან, რა ექნა მალიან მიცვარს ნითელკუნულა ბლით ყელის ნატკარუნება, თუქდა ჩემი მეგობრებიც არასოდეს მავინყებდა.

- მე კი ჩიტების ექითმა შოამომავალი ვარ.

ფრინველების ნრე მწვერბობა შრომამაა გააჩრლები და მწვერბობას ნინ დეუდებ, ნახე როგორი ღამაზრე და კობატა ვარ? ნამოდე რა, ექცევათოთა!

მწვერბობა დამწვერილ შესცქეროდა ახლადგანბობლო თანატოლებს, მერე თითქოს დარჩენი გადამგინდებოდა, გამიარბულდა და მათ ღუნდა შერობა.

- ფრინეთ დავიღობე დამე წელაღებთი, წელა დეფინებობა ყველას მთვრადედი უჩინა, მწვერბობას კი თვალე ცრქული არ შემორობია, მალიან ენატკრბობდა დედა, მისი სითბო და აღწერა. ფრენე ნამოდედა და გარედი გაბნევიდა. შრე ამოსვლას ნელაბობდა. შვიე დღობლები აღმა-დაღმა დამბრობილობდნენ და მზის სხივებს ეგარბობდნენ. ყოჩივარდებით მოქარგულ მდებლზე დილის ნამი მარტყდებტიყი მოჩანდა. უცხად მუხის უზარმაზარ ტრტიანდა ხანამოწრო გალაობს მხე გაციონა - მხე უფრო და უფრო ძლიერიდებოდა და მალამოსავით ეღებოდა ტკივილითი დაღღლე სულს.

გავიხულ მუხის ფულფურში კვილი წეროს იმედედა დარჩნითი პარტყების ამბავრდნენ, წელ-წელა ყველანი გარედი გამოფრდნენ და განამოღები უსწინდრე ბულღულის გალაობს. სინყარე თოღების შემოფრინამ დაარღობა, რომლებიც სტყურება მოვიდნენ ჭალაში.

- როგორი ხარო? სად დავიდედი მიმი? - ჩურჩულით ჰკითხა წერომ თოღლებს.

- ისეე „დღეღამების ბაღში“ ვარო, იქიდაღდა მალე გაბრტყერიან, იმ დღეს უახსრბობს ბრბო, გულგული ჩივიდა და გაგარტყდა: - მალიცაბა, რა გვემეგებება არ გიციოთ, ჩვენზე არავინ ფიქრობს, რა გვიინდობდა აქ, როგორი ვარებად ეცსორონაფით ზღვის სანამიოროზე, მანგოლიების და კვიპაროსების ბაღში, ახლაც კია.

ბულღულის გალაობს დამთავრან და პატარებთან მივიდა, ყველას მოეფერა, თავზე ფრია გადაუსვა, გულგული ჩივიდა და გაგარტყდა: - მალიცაბა, თონისტარა, ჩიტების ექითი, მოდიე ჩრითან. მე და ჩემმა ნეგობრებმა თქვენ ახალი ბუდეები შეგვიანინეთ, სადაც თქვენ მშობლებთან ერთად იტყობებოთ.

ბაღივლიანა, თონისტარა და ჩიტების ექითი გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ნელაბობდა, სისარტყლით ჩრითანინის აფროინდებოდნენ, ჩაუნის-კარტებდნენ და ფრითეს უტკლამუნებდნენ.

- თქვენ გული არ დაგხვედით, ჩემი პატარებო, - მიოურბნდა ბულღული დანარტყბს, - მალე დაბრუნდებით და თქვენც გაგასარტყთ, მე და ჩემი მეგობრები ყველაფერს გაგავიხუთებ, რომ სატუთარი ბუდეები შეგაციონთ და თქვენმა მშობლებთან იცხოვროთ და ისხვლოთ.

გაგარტყულმა პარტყებმა, ჯერ ფრენად რომ არ იციოდნენ, გამარა შეტრებს და ბულღულს გასყურენ.

დარჩნითილები იმედის თვალბობდა და ფრითეს ქრითი წაშვიდებობდნენ მეგობრებს. ამ დროს სათვინდაც სამინილად ცუცი გეგობრები და მისამა ზემოთ აიხვდეს და შხე სამისში გამიწყობილი არჩია დაინახეს. შემოინივლი პარტყები წეროს შემოფრდნენ.

- ვინ არიან? რა უზნებან? - იკითხა მწვერბობამ?

- ...

ფრინველია მიფენ თავისი ძლიერი ამბილი გადაფურინა „ივრის ჭალას“, სადაც ობოლია და მწრწველებს მიკლებლობა თამაშობაფრო იყო.

თამარ მხარგრძელი

დაგვიღონდა ბატი ტასო

ოთხი ჭკუი ჰეუვდა ტასოს
და რა სჯობდა იმთ ცქერას.
გადითვალა, დარჩა საძი
და დაუწყო გულმა ძკერას:
ის მეთხე სად წაეიდა,
რა უახდაბა დაეძკერა?
— მე რომ თვალთ მოვარიდე,
მოიტაცა აღბათ ძკერამ.
დაგვიღონდა ბატი ტასო,
მეთხე ჭკუის გლოვობს ჯერაც.



ლია კობალაძე

გაბონილა, ღრუჭუნავ?

მიმინებულ კვიცუნას
გოჭმა მოვლტუნა,
(მძინარესთან ხუმრობა
გაგონილა, ღრუჭუნავ?)
ღაწღანდარა უოფილა, —
კვიცმა ჩაიფრტუნა, —
როგორც ვხედავ, სრულებით
არ ჰქონია კულტურა!...

მხატვარი ზაურ ღვიწამი

აზა აკობია

ქურდბატანმა კნუტები

— არაქანი ხადლა? —
გაიკვირვა ბეზიამ.
მაგიდის ქვეშ კნუტები
სიცილისგან კვდებიან!
კნუტებს ქურდბატანობა
არასოდეს ჰბესრდებათ,
ზაწაწინა მუცლები
ბურთებავით უსრდებათ!



ძულთაგან თქმული

თარგმანი
ზაზუნიაძე

ბოზნიანი მხმარებელი

ერთ მეფეს ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. წესი იყო, რომ მეფის სიკვდილის მერე მეფედ მეფის უფროსი ვაჟი დასჯდარიყო. მამა ატყობდა, რომ უფროსი შვილი მეფედ არ ივარგებდა. მეფედ უნდოდა ხელ პატარის დასმა, მაგრამ ეს კანონის დარღვევა იქნებოდა და სახელმწიფოში არეუ-დარევას გამოიწვევდა. მაშინ მეფემ ასეთ ხერხს მიმართა: შეიღებოდა მოიწვია და უთხრა – შეილუბო, ჩემთვის სამივენი ერთნი ხართ. მე ეხლა მალე მოვკვდები და ჩემს მერე მეფედ იმას დავსვამ, ვინც ჩვენი სახელმწიფოს ყველა სოფელში სახლს ააშენებსო. მისცა ყველას თანაბრად ფული და გაისტუმრა. უფროსმა და საშუალო მამ დაიწყო სახლების შენება. ააშენეს ყველა სახლი, მაგრამ ყველა სოფელში ასაშენებლად ფული არ ეყო. მაშინ ხელმეორედ მივიდნენ მამასთან ფულის სათხოვნელად. მანაც, რაც სთხოვეს, მისცათ. არც ის ფული ეყოთ და კიდევ მივიდნენ. მამამაც კიდევ მისცათ ფული. ძმები გაფაციცებით აშენებდნენ სახლებს, პატარა მამს კი ერთი ქოხიც არ ჰქონდა აშენებული. დადიოდა ყველა სოფელში, კვირობით რჩებოდა, ქვიფობდა, მძამეგობრებს შოულობდა, ერთი სოფელიდან მეორეში გადადიოდა და ყველგან დროს ატარებდა. ბოლოს სამივენი მივიდნენ მამასთან, ორმა კვლავ ფული სთხოვა, კიდევ გვიკლია სახლებსო, პატარამ კი ნახევარი ფული უკანვე მიუტანა და უთხრა: მე, მამაჩემო, ყველა სოფელში მაქვს სახლი, თუმცა არსად ამიშენებიაო.

- ეს რას ნიშნავსო? – ჰკითხა მეფემ.
- ყველა სოფელში მეგობარი გავიჩინე და ყველგან შემიძლია მისვლა, მეგობრის სახლი ჩემი სახლიაო.

მამას მოეწონა შვილის გონივრული საქციელი და მეფობა მას ჩააბარა.

მოქმელი ა. არწილაძე, სოფ. გულანთა
ჩაიწერა ა. ბეროშვილმა





ნაირ შიშამ



ნაივას
კიონინამ

ზურაბ
შვანია

ნატალი
სონეხიაშვილი

გელენე ღა საბა
ტაუაშვიდი



თეკლე
ფიშია

მარიამ
ფიშია

ანა
ანასამ

პედესე

ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ ფოტოებს, რომლის მთავარი გმირი 10 წლამდე ბავშვი იქნება. კონკურსის პირობები იხილეთ „დილის“ ვებ-გვერდზე

www.dila.ge

ფოტოჯურნალი



ტიტბ



„ღვინ თქერ, სომ ვიმთერ
სყუთსონ თოსანი!“

გაბრიელ მუტურელი



გამომცემის თავი წიგნი
 გამომცემელი შპს „საბუნებისმეტყველო ცენტრი“
 გამომცემლობა „კვლევა“

მთავარი რედაქტორი
 დოქტორი ვინცინცაძე

არტ-რედაქტორი
 თამარ ნიკოლაშვილი

რედაქტორები:
 ვაჟა პაპაშვილი
 შერმალიძე ქალაქიანი

სტილი:
 გინანა ნიკოლაშვილი

შპს-ტარ-დისაინერი:
 თბა შიძიაძე

კომპიუტერული დიზაინი:
 ნუზუარ არნაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
 მარიამ გიორგაძე


საფინანსო განყოფილება:
 ნაირა ტოგვალიაშვილი
 გუგული ლევაშვილი

ლუის-მენეჯერი:
 სალომე პაპაშვილი


საზოგადოებასთან ურთიერთობის
 განყოფილება:
 მამკალა გიორგაძე
 ნანი პაპაშვილი

გამომცემის რედაქტორი:
 ნუზუარ პაპაშვილი

ფლაზე ნახატი:
 სოსო შალივაშვილი




ქროსვორდის შესავსებად გულდასმით უნდა წაიკითხოს ამ ნომრის ყველა გვერდი



1. იჩვენე დროის ათი მცნების“ ავტორი;
2. გამოგონებული და შეცნიერი, რომელმაც კულნარიაშიც შეიტანა წვლილი;
3. ცხოველი, რომელიც წონასწორობის დასაცავად ქეებს ჭამს;
4. რა ეროვნების იყო მეფოვე ბენო?
5. რისი წვენიდან მზადდება „უჩინ-მარინის მელანი“?
6. რომელ ქვეყანაში იმართება თევზების შეჯიბრება;
7. რას ნიშნავს ლათინურად ფოსფორი?
8. ლორდი, რომელმაც „დახურული“ ბუტერბროდი გამოიგონა;
9. თევზი, რომელიც წყლის ტყვიებით ნადირობს.
10. ჭურჭელი ქიმიური ცდებისთვის;
11. ალქიმისკოსი, რომელმაც უნებურად ფოსფორი აღმოაჩინა.

დამოუკლავი პაპაშვილი სამკაოების



მისამართი:
 თბილისი, კოსტავას ქ. №14
 ტელ: 93 10 32; 93 41 30
<http://www.dila.ge>
 ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com
 ფასი 2.50 ლარი

ბი08/13



F343
2006
საბავშვო გამომცემლობა

www.dila.ge

საბავშვო გამომცემლობა

E-mail: dila1904@yahoo.com



„დილს“ გამოცემების შექმნა შეგიძლიათ სახლიდან გაუსვლელად. თქვენ მოგემსახურებათ ჩვენი კურიერი და სასურველ წიგნს სასურველ დროსა და ადგილას ყოველგვარი ფასნამატის გარეშე მოგართმევთ. შეკვეთის მისაცემად დაგვიკავშირდით რედაქციამში, ან გამოიყენეთ საიგბე განთავსებული შეკვეთის ფორმა.



ბუნების საოცრებათა საყაროები

ქიმიკ ფორაულაშის გარეშე

გაკვეთილს უძღვება მარიამ სურგულაძე

ბაკავითილი 3

ელემენტების ქიმიური სიმბოლოები

როგორც ქართულ 33-ივე ბგერას თავისი გამოსახულება აქვს ასოს სახით, ისე ბუნებაში არსებულ 90-ივე სახეობის ატომი, ანუ ელემენტი, სხვადასხვა ასოთი აღინიშნება. ამ ასოებს ქიმიური სიმბოლოები ეწოდება. აი, რამდენიმე: H, O, C, N, S, P, Cu, Fe, Cl, Na, K...

ქიმიური სიმბოლოები ქიმიური ელემენტების ლათინური, არაბული და ინგლისური სახელწოდებების პირველი ასოებითაა შექმნილი.

თუ რამდენიმე სახელწოდება ერთი და იმავე ასოთი იწყება, მაშინ მას სხვა, მომდევნო ასოსაც ამატებენ, მაგალითად:

- ფოსფორი - P
- კარბონეუმი - C
- პლატინა - Pt
- კუპრუმი - Cu
- პლუმბუმი - Pb
- კალციუმი - Ca

საქართველოში დასახლებული ქართველები	საქართველოში დასახლებული ქართველები	საქართველოში დასახლებული ქართველები	საქართველოში დასახლებული ქართველები
წყალბადი	H	ჰიდროგენიუმ	ჰაჰ
ჟანგბადი	O	ოქსიგენიუმ	ო
ნახშირბადი	C	კარბონეუმ	ცა
აზოტი	N	ნიტროგენიუმ	ენ
გოგირდი	S	სულფურ	ეს
ფოსფორი	P	ფოსფორუმ	პე
სპილენძი	Cu	კუპრუმ	კუპრუმ
რკინა	Fe	ფერუმ	ფერუმ
ქლორი	Cl	ქლორუმ	ქლორ
ნატრიუმი	Na	ნატრიუმ	ნატრი
კალიუმი	K	კალიუმ	კალი
მაგნიუმი	Mg	მაგნიუმ	მაგნი
ნეონი	Ne	ნეონ	ნეონ
ჰელიუმი	He	ჰელიუმ	ჰელიუმ
ოქრო	Au	აურუმ	აურუმ
ვერცხლი	Ag	არგენტუმ	არგენტუმ
ალუმინი	Al	ალუმინიუმ	ალუმინ
ფთორი	F	ფლუორიუმ	ფთორ
სილიციუმი	Si	სილიციუმ	სილიციუმ


სახალისო დაპლაზა

საიდუმლო ფაჩილვაი

ჩვენო ძვირფასო მკითხველო, ალბათ ბევრჯერ მოგდომებია მეგობრისთვის ისეთი წერილი გაგვგზავნა, რომელსაც თქვენს მეტი ვერავენ წაიკითხავენ. ამას „უჩინ-მაჩინის მელანი“ სჭირდება. სწორედ მისი დამზადება გვინდა შემოგთავაზოთ.

გაფუქვნილი ხაზვის ჩამონაჭერი თეთრზე დაჩრქვე და წვენი გამოადინე. ხაზვის წვენი სუფთა ფურცელზე წერილი დაწერე, გააშრე და გაუგზავნე ამხანაგს. სანერად შეგიძლია ნებისმიერი წერილი საგანი გამოიყენო. ამ წერილის წაიკითხვა მხოლოდ გათბობით შეიძლება. წერილი უნდა მიუშვირო ანთებულ სანთელს, ბუხარს ან თუნდაც სანთელელას. უფრო ასოები გათბობით შეიძლება. წერილი უნდა გამოიყენო.

აჯანყებულებს ხშირად გამოუყენებიათ ხაზვის წვენი იმისთვის, რომ პოლიციას მათი წერილი ვერ წაეკითხათ.



გამოიყენე ცხრილი და უჯრები შეავსე ელემენტების ქართული სახელწოდებებით ისე, რომ დიაგონალზე ჩანერილი სიტყვა „ფილოსოფოსი“ არ შეიცვალოს.

„დილის“ საჯარო სკოლა



ელემენტების „ნათლობა“

ქიმიის ისტორიიდან:

ახალაღმოჩენილი ელემენტებისათვის სახელების დარქმევა არაერთ ამალელებულ ისტორიასთან არის დაკავშირებული.

დავიწყეთ იმით, თუ რას ნიშნავს **ელემენტის აღმოჩენა**. მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

მდიდარმა ვაჭარმა გენინგ ბრანდტმა მთელი თავისი ქონება შეგობრებთან დროს ტარებაში გააფლანგა. გაკოტრებული ძმაცატი მეგობრებმა მალე მიატოვეს.



ბრანდტი განათლებული კაცი იყო და გადაწყვიტა ალქიმიკოსობა დაეწყო. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჯერ ისევ სწამდათ, რომ არსებობს **ფილოსოფიური ქვა**, რომელსაც ყველა სურვილის შესრულება შეუძლია (ქართული ნატერის თვალის მსგავსად).

ალქიმიკოსები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნას „ფილოსოფიური ქვის“ მიღებას ახმარდნენ. ისინი უამრავ ცდას ატარებდნენ საოცნებო ქვის მიებაში. ზოგ მათგანს იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ ოქროს მიღება შეიძლებოდა ყველაფრისგან, რაც კი ყვითელი იყო (გოგირდისგან, ნარიინჯისგან, შემოდგომის ფოთლებისგან).

მართალია, ალქიმიკოსებმა ვერც „ფილოსოფიური ქვის“ რეცეპტი შექმნეს და ვერც ოქროები მიიღეს, მაგრამ გამდიდრების უნით შეპყრობილები, მეცნიერული მუშაობის სულ ახალ-ახალ მეთოდებს იკონებდნენ და თავისდა უნებურად დიდი წვლილი შეიტანეს ქიმიის მეცნიერების განვითარებაში.

ასე მოუვიდა გენინგ ბრანდტსაც. მან დარჩენილი უკანასკნელი გროშებით ერთ ღარიბულ სარდაფში სამუშაო ლაბორატორია მოიწყო და მუშაობას შეუდგა.


ახალგამომცხვარმა ალქიმიკოსმა მეზობელი ფერმიდან ცხენის შარდი წამოიღო (ყვითელი ფერის გამო) და მასზე დაიწყო ცდების ჩატარება.

ერთხელ, შუალამისას, ბრანდტმა შეამჩნია, რომ რეტორტას (ალქიმიკოსების ქიმიური ჭურჭელი) რაღაც მანათობელი წვეთი მოსწყდა, დაეცა „ძიმღები“ ჭურჭლის ფსკერზე და გაანათა. კაცი გაახვევა უცნაურმა სანახაობამ. მანათობელი წვეთები გროვდებოდა ჭურჭლის ფსკერზე, თანდათან მკვრივდებოდა და სულ უფრო მეტ სინათლეს ასხივებდა.

ალქიმიკოსმა იფიქრა „ფილოსოფიური ქვა“ მივიღეო და მაშინვე ცოლთან გავარდა, რომ ახალი ამბავი ეხარებინა. მას კი ქმრის დანახვაზე გული წაუვიდა. იცით, რატომ? კაცის სახე, თმა და ხელები სიბნელეში ანათებდა. ალბათ, გახარებულმა ექსპერიმენტატორმა თავზე იტაცა ხელები, რომლებიც ცდის ჩატარების დროს გამოყოფილი ორთქლით დაესვარა.

ცოლ-ქმარი მალე დარწმუნდა, რომ ეს „ფილოსოფიური ქვა“ არ იყო, რადგან მან არც ერთი მათი სურვილი არ შეასრულა.

გენინგ ბრანდტი მიხვდა, რომ „ფილოსოფიური ქვა“ თუ არა, რაღაც საინტერესო მაინც აღმოაჩინა. მან ეს „რაღაც“ მაინც აქცია ოქროდ. წაიღო სამეცნიერო აკადემიაში და დიდი გასამრჯელოს ფასად ჩააბარა იქ ნამდვილ მეცნიერებს, რომლებსაც ოქროზე მეტად ახალი აღმოჩენები აინტერესებდათ.



ალქიმოსმა არ გაამჟღავნა მიღების ხერხი და პორცია-პორციობით აპარებდა მეცნიერებს ამ თავის აღმოჩენილს.

მეცნიერებმა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ეს იყო მანამდე უცნობი, ახალი ელემენტი. რადგან ის სიბნელეში ანათებდა, მას ფოსფორი დაარქვეს, რაც ლათინურად „მანათობელს“ ნიშნავს.

ეს მოხდა 1669 წელს.

ამ ამბავმა გვიჩვენა, რომ ელემენტების აღმოჩენას ზოგჯერ შემთხვევითი ხასიათი აქვს. ზოგჯერ კი მეცნიერის ყურადღებას რომელიმე მინერალი იქცევა და იწყება მის შესწავლას. ბოლოს კი მასში რომელიმე მანამდე უცნობ ელემენტს აგნებდა.

ამჟამად ფოსფორს მინერალებისგან (ფოსფორიტებისა და აპატიტებისაგან) იღებენ.

სახალისო დავალება

ყვავილენის ჯადოქარი

გინდა შენ სტუმრებს ჯადოქრად მოაჩვენო თავი? ამისთვის ერთ ცდას გასწავლით: ჭიქაში თანაბარი რაოდენობით შეაზავე ნიშადურის სპირტი და ეთერი. მთელი ხსნარი ჭიქის მესამედზე მეტი არ უნდა იყოს (დიდი სიზუსტე არ არის აუცილებელი). ეს ორივე ნივთიერება აფთიაქში იყიდება. ისინი მკვეთრი სუნისაა. ამიტომ ორივე გაიტანე ღია ადგილზე, აივანზე ან სადარბაზოში, და იქ შეურიე ერთმანეთს.

ჭიქა ცხვირიდან შორს დაიჭირე. შემდეგ შეგიძლია შეხვიდე სტუმრებთან და ამ ჭიქაში რიგრიგობით ან თუნდაც ერთად, სხვადასხვა ფერის ყვავილები ჩაანაწო: იები, ყაყაჩოები, მიხაკები, ყოჩივარდები, ცისფერი ენსლები და კაქტუსის ფერადი ყვავილებიც კი.


ყველა ყვავილი ფერს შეიცვლის და ისეთ თავიგულს მიიღებ, რომელიც სტუმრებს კი არა, ნებისმიერ მებაღეს გააოცებს.

რას მოიმიჯნედე ამ დროს ან რა ჯადოსნურ სიტყვებს წარმოთქვამ, შენ თვითონ მოიფიქრე.



კნოსკოტეო

უჯრები შეავსე ელემენტების ლათინური სახელწოდებებით, ისე, რომ ვერტიკალურად ჩანერილი სიტყვა „ელემენტი“ არ შეიცვალოს.



ი ლ ა კ ი მ უ

--	--	--	--	--	--	--	--

ასოები ისე გადააწვე, რომ ერთ-ერთი ელემენტის ქართული სახელწოდება მიიღო. ეს ელემენტი მცენარეების „საყვარელი“ საკვების შედგენილობაში შედის.

ბ ი ბ

ჟურნალის ამ ნომრიდან შემოგთავაზებთ ქართულის გაკვეთილებს მათთვის, ვინც ლამაზ წიგნებში ნახატებით კითხულობს ამბავს, რადგან ტექსტი მისთვის ჯერ კიდევ გაუგებარი რებუსია. ეს გაკვეთილები „დილის“ საჯარო სკოლის ველაზე პატარა მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი და, როგორც სხვა დანარჩენი, ისიც განსხვავებული და ახლებური იქნება: პატარები სწორედ ნახატებისა და თამაშების აქტიური გამოყენების გზით დაიწყებენ კითხვას: ჯერ ცალკეული სიტყვებისა, მერე კი „რებუსი“-ტექსტების. წერის ტექნიკას მოგვიანებით ათვისებენ, თუმცა მისი ელემენტები დასაწყისშივე იქნება მიწოდებული.

უცნაურია, როგორ ამოიკითხავს ბავშვი სრულიად უცხო სიტყვას?! ამ საქმეში მისი დამხმარე ნაცნობი და იოლად დასამახსოვრებელი ნახატი იქნება.

მთავარი ისაა, რომ ბავშვს ზედმეტად არ დაჭირდება უფროსების დახმარება. მათ მხოლოდ ღრუბლებში ჩაწერილი ტექსტების წაკითხვა მოუწევთ, რათა დასაწყისისთვის მიმართულება მისცენ პატარებს.

გაკვეთილი 1



მზე

ეს პირველი სიტყვაა, რომელიც ბავშვმა უნდა დაიმახსოვროს. თუ როგორ, ამას სავაჯიშობები გვიჩვენებს.

მთვარე
ღათვი
მზე
ბურთი



ბავშვმა უნდა მოძებნოს სიტყვა „მზე“ და დააკავშიროს შესაბამის ნახატთან.



მზე
ბავშვი ახლა შესაბამის ნახატს აკავშირებს სიტყვასთან.

მდელოზე მიმოხედავთ გვირილებს ფურცლებზე სხვადასხვა ასოები აწერიათ. მათგან 5 გვირილას ფურცლებზე აწერია „მზე“. ბავშვმა უნდა იპოვოს ეს 5 გვირილა.





მზე გოგონას უწვდის
სამ ფოთოლს, რომელზეც
წერია „მზე“.



ზეზე ყველა ფოთოლს
სზვადასზვა ასოები აწერია. ამ
ასოებიდან ბაკვეთისთვის მხო-
ლოდ ერთია ნაცნობი



გოგონამ ორი ფოთოლი დაკარგა. ხელში
შერჩა მხოლოდ საწყისი ასო „მ“. პატარა
ტირის და დარდობს. ბაკვეთი უნდა დაეხმა-
როს დანარჩენი ფოთლების მოძებნაში.

ბაკვეთმა უნდა გამოარჩიოს
დანარჩენ ფოთლებში ნაცნობი
ასო. ეს სწორედ ის ფოთოლი
იქნება, გოგონამ რომ დაკარგა.



მდელოზე ქარია და ფოთლებს
ჰაერში ატრიალებს. ამ ფოთლები-
დან ერთ-ერთს აწერია ასო „ზ“. თუ
ბაკვეთი ამ ფოთოლსაც იპოვის, გოგო-
ნა მზის საჩუქარს ისევ დაიბრუნებს.



ბავშვი უნდა დაეხმაროს გოგონას და ფოთლები ისეთი თანამიმდევრობით გააფერადოს, რომ მიიღოს სიტყვა „მზე“.

მზე

მე

მზე

მთვარე

მზე

მე



ამ სამ სიტყვას ბავშვმა თავ-თავიანთი ადგილი უნდა მიუჩინოს და შესაბამისი ფერის ყუთთან დააკავშიროს.

მომავალ შესვედრამდე!

